განკარგულება:**g-81. 8124115001**
თარიღი:**24/04/2024**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №11

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების (სოფ. ზუბის ხელოვნურ საფარიანი სპორტული მოედანი) სსიპ ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ზუბის საჯარო სკოლა''-ზე გადაცემის შესახებ მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

ცაგერის მუნიციპალიტეტმა ,,მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 აპრილის N815 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 ივლისის N1663 განკარგულებით გამოყოფილი თანხით განახორციელა ინფრასტრუქტურული პროექტი ,,სოფელ ზუბში ხელოვნურ საფარიანი სტადიონის მოწყობა.“ სპორტული მოედანი განთავსებულია სსიპ ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ზუბის საჯარო სკოლის კუთვნილ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე.

სსიპ ,,ზუბის საჯარო სკოლამ'' წერილობით მიმართა ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას და მოითხოვა სპორტული მოედნის ბალანსიდან ბალანსზე გადაცემა, რათა უზრუნველყოს მიმდინარე შეკეთებასა და მოვლა შენახვის სამუშაოების დაფინანსება საკუთარი სახსრებით.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე'', ,,ე.ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის ,,დ'' ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურით, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ.'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების მე-4 მუხლის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. თანხმობა მიეცეს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონება (სოფ. ზუბის ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი, საწყისი ღირებულება 79 108,3 (სამოცდაცხრამეტიათასასრვა ლარი და 30 თეთრი) ლარს, ხოლო ნარჩენი საბალანსო ღირებულება 63492,12 (სამოცდასამიათას ოთხასოთხმოცდათორმეტი ლარი და 12 თეთრი) ლარს გადაეცეს სსიპ ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ზუბის საჯარო სკოლას.''

2. განკარგულების პირველი მუხლით განსაზღვრული ქონების გადაცემის პირობად ჩაითვალოს ობიექტის პროფილის შენარჩუნება, ობიექტით სარგებლობა ხელმისაწვდომი იყოს როგორც საჯარო სკოლისთვის ისევ მოსახლეობისა და სოფლის ახალგაზრდობის, სსიპ ,,ზუბის საჯარო სკოლამ'' უზრუნველყოს მიმდებარე რემონტისა და მოვლა-შენახვის სამუშაოების განხორციელება.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი